



## საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საქართველოს ეროვნული პლატფორმა გამოხატავს უკმაყოფილებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, ევროპარლამენტარები: ანა ფოტივა - საქართველოს მეგობართა ჯგუფის თავმჯდომარე, რაიმუნდას ლოპოტა და ვილია თარგამაძე, არ შეუშვეს პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმარ მიხეილ სააკაშვილთან. ვფიქრობთ მსგავსი ქმედებები, განხორციელებული საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიერ, ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის სვლას ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

ჩვენთვის ასევე მიუღებელია, აბსტრაქტულ საფრთხეებზე აპელირებით, ბატონი სააკაშვილის არ მიყვანა თავისსავე სასამართლო პროცესზე, რათა „თავი დაიკვას პირადად“ და რაც არ არის შესაბამისი როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო კონვენციებში გათვალისწინებულ ჩანაწერებთან.

აღნიშნული ქმედება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან.

ვფიქრობთ, მსგავსი ნაბიჯები იწვევს ჩვენი დასავლელი პარტნიორების სამართლიან შემფოთებას ქვეყნის ევროპული მომავლის მიმართ.

მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას დაიცვას როგორც კანონმდებლობით დაკისრებული ადამიანის უფლებათა შესახებ არსებული ვალდებულებები, ასევე უმნიშვნელოვანესი ევროპული კონვენციები რომლებიც საქართველოსთვის სავალდებულო ხასიათისაა.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო